The European Union for Georgia

Caritas Czech Republic

unicef for every child

უწყვეტი და ხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის მომსახურება ყველა ბავშვისთვის საქართველოში

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია გააძლიეროს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხარისხიან (MCH) მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა სოფლად პირველადი ჯანდაცვის (PHC) დონეზე ტელემედიცინის დანერგვისა და ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების ცენტრის დაარსების გზით. პროექტის ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მხარდაჭერილი „0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრდისა და განვითარების მონიტორინგის ელექტრონული მოდული“ კიდევ უფრო გაუმჯობესდება და დამონტაჟდება შერჩეულ სოფლის სამედიცინო ამბულატორიებში ქვეყნის მასშტაბით.

გარდა ამისა, MCH სერვისების დისტანციური მიწოდება დაინერგება ციფრული სერვისების მიწოდების მტკიცებულებებზე დაფუძნებული საუკეთესო პრაქტიკის მოდელის შექმნით. კერძოდ, **„0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრდისა და განვითარების მონიტორინგის ელექტრონული მოდული“** დაინერგება 50 შერჩეულ ჯანდაცვის დაწესებულებაში. პარალელურად, შეიქმნება ელექტრონული პლატფორმა ტელემედიცინის ქსელისთვის. 50 კლინიკის პირველადი ჯანდაცვის გუნდები ტელემედიცინის ქსელით იქნება დაკავშირებული. აღნიშნული 50 ამბულატორიის პერსონალი გაივლის ტრენინგს დისტანციური პედიატრიული მომსახურების შესახებ ახლად დამტკიცებული **გაიდლაინებისა და პროტოკოლების გამოყენებაში;** საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის ეგიდით შეიქმნება **PHC/MCH მომსახურების ხარისხის მართვის ცენტრი**, რომელიც განახორციელებს ტელემედიცინის სერვისზე ზედამხედველობას/მონიტორინგს. PHC/MCH ხარისხის მართვისა და ტელემედიცინის ჰაბის თანამშრომლებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგები და ექნებათ ინსტრუმენტები უხარვეზო მუშაობისთვის.

პროექტის ფოკუსი

„0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრდისა და განვითარების მონიტორინგის ელექტრონული მოდულის“ დანერგვა 50 პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში სოფლად;

დისტანციური პედიატრიული სერვისების მიწოდების შესახებ **ახლად დამტკიცებული პროტოკოლების დანერგვა**;

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის აღჭურვა ინსტრუმენტებით, რათა მან მართოს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მომსახურების ხარისხი პირველადი ჯანდაცვის დონეზე;

50 ამბულატორიის პერსონალისა და შერჩეული სპეციალისტების **შესაძლებლობების ამაღლება** აღნიშნული კლინიკების ბენეფიციარებისთვის დისტანციური კონსულტაციების ჩასატარებლად.

სამიზნე ჯგუფები

50 სოფლის ამბულატორიის სამედიცინო პერსონალი

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის წევრები

10 სპეციალისტი, რომლებიც ადრეული ასაკის ბავშვებს დისტანციურ კონსულტაციებს გაუწევენ.

პროექტის შედეგები

საქართველოს მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის 50 დაწესებულებაში დაინერგა „0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრდისა და განვითარების მონიტორინგის ელექტრონული მოდული“;

50 პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში ამოქმედდა ტელემედიცინის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ რეგისტრაციას, დისტანციური ვიზიტების დაგეგმვას და დაჯავშნას, პირდაპირ ვიდეოკონფერენციას, ვიდეოკონფერენციის შენახვასა და გადაგზავნას (store-and-forward), ჯანმრთელობის მონაცემების შეგროვებას და შენახვას, შეტყობინებების, შეხსენებებისა და გაფრთხილების გაზიარებას, ექიმებს ეხმარება კლინიკური გადაწყვეტილებების მიღებაში;

შეიქმნა ტელემედიცინის ქსელისთვის პლატფორმა და იგი დაუკავშირდა „0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრდისა და განვითარების მონიტორინგის ელექტრონულ მოდულს“.

შეიქმნა და სწავლება ჩაუტარდა PHC/MCH მომსახურების ხარისხის მართვის ჰაბს, რომლის ფუნქციაა ტელემედიცინის სერვისზე ზედამხედველობა/მონიტორინგი.

50 შერჩეული კლინიკის პერსონალმა გაიარა ტრენინგი დისტანციურ პედიატრიულ სერვისების მიწოდების შესახებ ახლად დამტკიცებული გაიდლაინებისა და პროტოკოლების შესაბამისად;

შერჩეულმა სპეციალისტებმა გაიარეს ტრენინგი ტელემედიცინის საშუალებით ბენეფიციარების უსაფრთხოებისა და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში

თბილისი 0177, საბურთალოს რაიონი,
გივი კარტოზიას ქ. N8, კორპუსი N4, ბინა N24
(+995) 032 222 02 14

ccrg@caritas.cz
georgia.charita.cz
www.facebook.com/CCRGeorgia2015